საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზამბახიძე ლალი ალექსანდრეს ასული

ზამბახიძე ლალი (ლარისა) ალექსანდრეს ასული (დ. 18. X. 1941, ჩოხატაური), გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1981). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1965). იქვე ეწევა პედ. საქმიანობას (1971-იდან) – გრაფიკის კათედრის გამგე (2002–06), პროფესორი. გამოფენებში მონაწილეობს 1965-იდან. მთავარი ნამუშევრები: გრაფიკული სერიები – „ადამიანი და გარემო” (1978), „მშობლიური მოტივები” (1979), „მიტოვებული ადგილები” (1986), „გერმანული მოტივები” (1990) და სხვ.; ილუსტრაციები წიგნებისთვის – ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!”, ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა”, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს” და სხვ. მხატვრის პერსონალური გამოფენა მოეწყო ქუთაისსა (1980) და თბილისში (2002). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: რუსეთი (1978, 1986, 1987), იტალია, ესპანეთი (1984) და სხვ., მოსკ. საკავშირო, ბერლინის, ქუთაისის საერთაშ. პლენერებში. ზ-ის ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში. მოსკ. ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეაში, მოსკ. აღმ. ხალხთა ხელოვნ. მუზეუმში და სხვა ქალაქების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2004).